საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 846-02
05/04/2018

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების შესახებ

`უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის `ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1- ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის,

ვბრძანებ:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის www.iliauni.edu.ge შინაარსობრივ ადმინისტრირებაზე (ვებგვერდზე განსათავსებელი ტექსტების დაწერა და/ან სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისგან მიღებული მასალების ქართულ ენაზე რედაქტირება; ვიზუალიზაცია; თარგმნა ინგლისურ ენაზე) პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
2. ვებგვერდის მოცულობიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, განთავსების პროცესში ჩაერთოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;

2.1 შინაარსობრივ ადმინისტრირებაში იგულისხმება:

ა) ტექსტების დაწერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ ინიცირებულ პროექტებზე, ღონისძიებებზე;

ბ) დანართი 1-ის შესაბამისად, სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან მიღებული ინფორმაციის რედაქტირება ქართულ ენაზე, ვიზუალიზაცია (ელექტრონული

ბანერის დამზადება) და საიტზე განთავსება, ფოტო და ვიდეომასალის ატვირთვა და შესაბამის რუბრიკებში გადანაწილება.

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის www.iliauni.edu.ge ტექნიკურ ადმინისტრირებაზე (მისი შეუფერხებელი მუშაობა) პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;
4. დანართ 1-ში მოცემულია რუბრიკები, რომლებიც ამჟამად აქვს ვებგვერდს და გაწერილია აღნიშნულ რუბრიკებში განახლებული ინფორმაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები არიან პასუხისმგებლები ინფორმაციის მიწოდებაზე და საჭიროების შემთხვევაში, განთავსებულ ინფორმაციაში ცვლილებების ასახვის კომუნიკაციაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის;
5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის ვებგვერდზე განსათავსებელ მასალის გაგზავნა, ან ცვლილებების შესახებ კომუნიკაცია ხდება კანცელარიის საშუალებით მეილზე: info@iliauni.edu.ge ; თუ ინფორმაციის განთავსება ან/და განთავსებულ ინფორმაციაში ცვლილებების ასახვა არის სასწრაფო, მაშინ მეილზე pr@iliauni.edu.ge ;
6. info@iliauni.edu.ge -დან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მოსდის ინფორმაცია ვებგვერდზე განსათავსებელ მასალებზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ვალდებულია მასალის (თუ ის სრულყოფილია) მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განათავსოს ვებგვერდზე მიღებული ინფორმაცია, ხოლო, 7 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს მისი თარგმანის განთავსება;
7. არასრულყოფილი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ვალდებულია დროულად (მასალის მიღების დღესვე) შეეხმიანოს ინიციატორს და დააზუსტოს დეტალები.
8. ამ ბრძანების რეგისტრაციის მომენტიდან ძალადაკარგულად იქნას ცნობილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 26 აპრილის N02-592 ბრძანება.
9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარის ეს ბრძანება გააცნოს: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ფაკულტეტებს/სკოლებს,ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

ქეთევან ლაკირბაია



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი